

**ინტერდისციპლინური სადოქტორო პროგრამის სახელწოდება – არქეომეტალურგია და პეტროლოგია**

**მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი - ბუნებისმეტყველების დოქტორი,  
PhD of Science**

**სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი -** სრული პროფ. ბ. თუთბერიძე  
**პროგრამის თანახელმძღვანელები:** პროფესორი (Dr.rer.nat) ა. ჰაუპტმანი,  
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ირ. დამბაშიძე

**სადოქტორო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:**

**მიზანი:** კავკასიის რთულ ლანდშაფტთან არის დაკავშირებული მადნეული საბადოების ინტენსიური გამოსავლები, რაც უძველესი დროიდან მეტალურგიული წარმოების ძირითად პირობას ქმნიდა.

არქეოლოგიური კვლევების შედეგად ცხადი გახდა, რომ უძველეს დროში საქართველოს ტერიტორიაზე ოქრო, სპილენძი, დარიშხანი და ანთიმონი ადგილობრივ მოიპოვებოდა და მუშავდებოდა, რაც აშკარად ადგილობრივი ნედლეული ბაზის არსებობით იყო განპირობებული. კავკასიის თავისებურმა მდებარეობამ კი უძველესი დროიდანვე განსაზღვრა მისი გეოპოლიტიკური მნიშვნელობა, სადაც აშკარად გამოიკვეთა აქ მაცხოვრებელი საზოგადოების კულტურულ-ეკონომიკური ურთიერთობები გარესამყაროსთან.

პროგრამის აქტუალობას განაპირობებს, საქართველოში ლითონის მოპოვებისა და დამუშავების ისტორიის კვლევაში გამოყენებული საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში დანერგილი უახლესი მეთოდები. ანუ არქეოლოგიური და გეოლოგიური მასალების თანამედროვე მეთოდებით ინტეგრირებული შესწავლა.

კერძოდ, იგი ითვალისწინებს ქიმიურ-ანალიტიკური, სამთოარქეოლოგიური და საინჟინრო მეცნიერებების უახლესი მეთოდების გამოყენებას, ოქროსა და ფერადი ლითონების საბადოების გენერაციის, მოპოვებისა და დამზადების პრეისტორიული ტრადიციების კვლევებში. ახლებურად იქნება გააზრებული ლითონის წარმოების ისტორია, გეოქიმიური კვლევა, საბადოთმცოდნეობა და მეტალურგია.

**შედეგი:** პროგრამის განხორციელების შედეგად მომზადდება სათანადო თეორიული და პრაქტიკული გამოცდილების მქონე მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტი გეოლოგია-მინერალოგიაში, ქიმიასა და არქეომეტალურგიაში. ვინაიდან, კვლევა დამყარებული იქნება ძირითადად საქართველოში დადასტურებული ლითონის არტეფაქტების ქიმიური და იზოტოპური ანალიზების შედეგებზე.

**საკვლევი პრობლემები**

კვლევა დამყარებული იქნება საქართველოს მადნისეული საბადოებისა და არქეოლოგიური მასალების ინტერდისციპლინარულ კვლევებზე.

1. უძველესი ლითონის არქეოლოგიური ნაწარმის წარმომავლობის კვლევა გეოლოგიური, ქიმიური და იზოტოპური ანალიზების საფუძველზე. გასარკვევია რა სახის მადნები მოიპოვება საქართველოში და რამდენად შეესაბამებიან ისინი აქვე აღმოჩენილ არქეოლოგიურ ნივთებს.
2. სამთამადნო წარმოების კერების, მადნეული საბადოებისა და ოქროს მატარებელი მდინარეებიდან სინჯების მოპოვება და მათი ქიმიური და იზოტოპური ანალიზების შეჯერება (მათი სავარაუდო მიმართების გარკვევა უძველეს მეტალურგიულ ცენტრებთან).
3. სხვადასხვა რეგიონებში აღმოჩენილი ლითონის არტეფაქტების ქიმიური შემადგენლობის თავისებურებების კვლევა და მათი დამზადების ტექნოლოგიების გარკვევა. მათი მიმართება კავკასიის, ახლო აღმოსავლეთისა და ეგეოსური სამყაროს არქეოლოგიურ და გეოლოგიურ მასალებთან.
4. სამთო წარმოების ქვის იარაღების პეტროგრაფილი შესწავლა.
5. ლითონის წარმოების პროცესი: ნამზადი და ნარჩენი პროდუქციის თავისებურებანი.

**დასაქმების სფერო:**

პროგრამის განხორციელების შედეგად დოქტორანტი შეიძლება დასაქმდეს ჰუმანიტარული და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სასწავლო, სამეცნიერო და კვლევით დაწესებულებებში. სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებში.

**სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები:**

სადოქტორო პროგრამაზე დაიშვებიან გეოლოგიის, ქიმიის, მეტალურგიისა და არქეოლოგიის მაგისტრის ან მასთან განაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირები.

საკვლევი თემის სპეციფიკიდან გამომდინარე, დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება ერთ-ერთი ევროპული სამეცნიერო ენის (ინგლისური, გერმანული), არანალებ B-2 დონეზე ცოდნა.

**სასწავლო კომპონენტები:**

სადოქტორო პროგრამა ითვალისწინებს საველე და ლაბორატორიულ პრაქტიკას საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და ბოხუმის გერმანიის სამთო მუზეუმისა და რურის უნივერსიტეტების ერთობლივი პროექტების “ახალი მეთოდების დანერგვა და ძველის გააქტიურება სამთოარქეოლოგიულ და არქეომეტალურგიულ კვლევებში”, “უძველესი ოქრო საქართველოში” ( ორივე დაფინანსებულია ფოლკსვაგენის ფონდის მიერ) და “უძველესი მეტალურგია და სოციალური პროცესები ძვ.წ. IV-III ათასწ. სამხრეთ კავკასიაში”( დაფინანსებული რუსთაველის ფონდის მიერ)- ფარგლებში.

დოქტორანტის სასწავლო კომპონენტი ითვალისწინებს სავალდებულო კურსებს არანაკლებ 20 კრედიტისა. დარჩენილ 35–40 კრედიტს, ხელმძღვანელთან შეთანხმებით, დოქტორანტი აგროვებს სხვადასხვა კურსების გავლით (იხ. დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტი).

**სავალდებულო საუნივერსიტეტო საგნები:**

	საგნის დასახელება	სტატუსი	კრედიტების რაოდენობა
1.	სწავლების თანამედროვე მეთოდები	სავალდებულო	5
2	დოქტორანტის I კოლოკვიუმი	სავალდებულო	5
3	დოქტორანტის II კოლოკვიუმი	სავალდებულო	5
4	პროფესორის ასისტენტობა	სავალდებულო	5–10

**სამეცნიერო კვლევების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:**

სადოქტორო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო კონპონენტი განხორციელდება თსუ საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე. დოქტორანტის განკარგულებაში იქნება თსუ საუნივერსიტეტო, საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული ფაკულტეტის ბიბლიოთეკები, საქართველოს ეროვნული მუზეუმის ბიბლიოთეკები და ფონდები, ოთ. ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრის უძველესი მეტალურგიის შემსწავლელი პროექტის კომპიუტერული რესურს-ცენტრი, გერმანიის ქ. ბოხუმის რურის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა და ასევე სამთო მუზეუმის მასალათმცოდნეობის ინსტიტუტის ლაბორატორია და რესურს-ცენტრი. სადოქტორო ნაშრომი უზრუნველყოფილი იქნება გეოლოგიური და არქეოლოგიური მასალების ქიმიური და იზოტოპური ანალიზებით.

**ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე, შესაძლებელია ორი დოქტორანტის მიღება.**